სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2007 წელს გაწეული მუშაობის შესახებ:

2007 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად შევიდა 1216 განცხადება (საჩივარი);

სადისციპლინო კოლეგიას განსახილველად გადაეცა 29 დისციპლინური საქმე, რაც შემოსული განცხადებების (საჩივრების) 2,4% შეადგენს.

სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილულია 14 საქმე 14 მოსამართლის მიმართ, რომელთაგან:

ა) დისციპლინური სახდელი - შენიშვნა დაეკისრა 2 მოსამართლეს (14,3%);

ბ) დისციპლინური სახდელი - თანამდებობიდან გათავისუფლება შეეფარდა 4 მოსამართლეს (28,6%);

გ) მოსამართლეთა რეზერვიდან ამოირიცხა 4 მოსამართლე (28,6%);

დ) მოსამართლეთა რეზერვიდან გამოყვანის გამო დისციპლინური საქმისწარმოება შეწყდა - 1 მოსამართლის მიმართ (7,1%);

ე) მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო დისციპლინური
საქმისწარმოება შეწყდა 2 მოსამართლის მიმართ (14,3%);

ვ) ბრალდების მოხსნის გამო დისციპინური საქმისწარმოება შეწყდა 1 მოსამართლის მიმართ (7,1%).

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ 2007 წელს გაწეული მუშაობის შესახებ:

1. 525 განცხადების (საჩივრის) საფუძველზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;

2. 36 განცხადების (საჩივრის) საფუძველზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

3. 52 განცხადების (საჩივრის) საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივნის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოსამართლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. მათგან:

ა) 2 გადაწყვეტილების საფუძველზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;
ბ) 17 გადაწყვეტილების საფუძველზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
გ) 17 გადაწყვეტილების საფუძველზე 20 მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში;
დ) 16 გადაწყვეტილების საფუძველზე 22 მოსამართლის მიმართ მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.

4. სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან) გაერთიანდა, ქვემდებარეობით გადაიგზავნა ან რეაგირების გარეშე დარჩა იგივე საკითხზე განმეორებით შემოსული 498 განცხადება (საჩივარი);

5. 106 განცხადების (საჩივრის) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.